ფოთში საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

გვ. 2

მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

გვ. 2

მთავარი თემა საქართველოში

ფასი 50 თეთრი № 12 9 - 16 მაისი 2016 წელი\ გამოდის სამშაბათობით

ბენეფეციარისათვის გართულებული, ჯანდაცვის სამსახურისათვის კი გამარტივებული წამლის ვაუჩერები

გვ. 3

რამდენად უსაფრთხოა ბაზარში გაყიდული თევზი?

გვ. 3

საინფორმაციო შეხვედრა დევნილებთან

გვ. 4

წარმატებული პროექტების პრეზენტაცია – სიუპრიზი ქალაქის პირველი პირისთვის

გვ. 5

კონკურსი ,,წარმატებული ქალი,,

გვ. 6

ჯანო იზორიას გამარჯვება ფოთის გამარჯვებაა (დაუმესიჯეთ ნომერზე 95335)

ფაშიზმზე გამარჯვების 71 წლისთავი ფოთშიც აღნიშნეს

რატომ ენატრებათ ფოთელებს ნიკოლაძე?

გვ. 6

ფოთში ახალი სასაწყობო მეურნეობა შეიქმნება

გვ. 2

ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალიზება ფოთელი ახალგაზრდებისთვისაც მიუღებელია

გვ. 5

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ,
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲘᲜᲒᲑᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ - 599 341 417;
ᲘᲜᲒᲑᲐᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ ᲒᲛᲐᲘᲚ.ᲪᲝᲛ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ - 568 61 04 41

ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲛᲐᲠᲘ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 551 122 570-

ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ - 579 241 122

ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲫᲐᲯᲐᲘᲐ (ᲕᲝᲗᲘ) 571 323 539

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ (ᲮᲝᲑᲘ) 568 61 04 41

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲡ. ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲓᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲛ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ.

2014 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲓᲐᲜ 20 %-ᲘᲗ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲘᲫᲔ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲜᲐ ᲛᲧᲐᲠᲘᲐ.

ᲓᲐ ᲖᲔᲠᲣᲚ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲪᲘᲚᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ 23 %-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ. ᲔᲠᲥᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲤᲣᲚᲡ ᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ, ᲠᲐᲪ ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲡ. ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.4 ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲔᲕᲠᲝ - 2,7 ᲚᲐᲠᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0,78 ᲚᲐᲠᲘ.

ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 71 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲤᲝᲗᲨᲘᲪ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ

ᲗᲐᲛᲣᲜᲐ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ
ᲥᲔᲗᲘ ᲩᲔᲑᲐᲜᲘ
ᲤᲝᲗᲘ

ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ 71 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲤᲝᲗᲨᲘ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲛᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ. ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ, ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲛᲙᲔᲡ.

ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ, ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ �გᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ �გᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ. ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲔᲡ - „ᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲕᲣᲚᲝᲪᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲚᲝᲚᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲡ ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲗ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲪᲝᲪᲐ ᲓᲐᲒᲕᲠᲩᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲘᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲚ ᲛᲝᲕᲔᲤᲔᲠᲝᲗ, ᲛᲝᲕᲔᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲑᲝᲗᲘ ᲒᲐᲜᲣᲭᲛᲔᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ �გᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲕᲐᲬᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲣᲗᲮᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲥᲔᲓᲡ ᲕᲘᲮᲓᲘ ᲛᲐᲗᲘ �გᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ"- ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲣᲑᲘᲗᲝᲘᲫᲔᲛ. ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲡ �გᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲝᲝᲤᲣᲠᲘᲐᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲐ. „ᲛᲐᲚᲗᲐᲧᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲚᲝᲝ ᲒᲐᲜᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲛᲯᲕᲘᲓᲠᲐ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣᲠᲣᲞᲣᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲘᲮᲘᲚᲝᲡ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲡᲬᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲓᲐᲦᲕᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲗᲘᲗᲝ-ᲝᲠᲝᲚᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲘᲛ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲓ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲤᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲛᲐᲗ."

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲡ: ᲜᲝᲓᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ - „ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲣᲚᲝᲪᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ. ᲔᲡ ᲓᲘᲠᲡᲨᲔᲜᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲗ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲐᲤᲠᲘᲐᲚᲔᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ". ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲓᲔᲛᲣᲠᲘᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ - ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲔᲥᲕᲡᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲭᲠᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲜᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲩᲔᲛᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲕᲐᲠ, ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ 93 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲠ".

71 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, 9 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲝ ᲝᲛᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲛ ᲝᲛᲛᲐ 62 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲘᲝᲠᲐ. ᲝᲛᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 110 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲐᲛ ᲝᲛᲨᲘ 700 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ 16 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. 700 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 300 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲨᲘᲜ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 1200 ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ. ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲜᲔᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲦᲔᲗᲘᲗᲓᲦᲔ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲗᲐᲝᲑᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ „ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ" ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲮᲝᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲣᲬᲐᲠᲓᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ. ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲐᲛᲐᲧᲝᲗ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲨᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ 169 �გᲛᲘᲠᲘ, 2 ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ, 36 �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ, ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ. ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲘᲮᲡᲢᲐ�გᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲔᲠᲟᲐᲜᲢᲛᲐ ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐᲛ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ. ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲓ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲤᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲛᲐᲗ."

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲡ: ᲜᲝᲓᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ - „ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲣᲚᲝᲪᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ. ᲔᲡ ᲓᲘᲠᲡᲨᲔᲜᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲗ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲐᲤᲠᲘᲐᲚᲔᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ". ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲓᲔᲛᲣᲠᲘᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ - ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲔᲥᲕᲡᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲭᲠᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲜᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲩᲔᲛᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲕᲐᲠ, ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ

ბენეფიციარისათვის გართულებული, ჯანდაცვის სამსახურისათვის კი გამარტივებული წამლის ვაუჩერები

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

ვაუჩერის აღება გართულდა - ეს სიტყვები ხშირად ისმის უკმაყოფილო ადამიანებისგან. საინტერესოა, რა იწვევს ბენეფიციარების უკმაყოფილებას და რატომ თვლიან, რომ გაძნელდა მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა დღეს. მედიკამენტოზური დახმარებისთვის ბიუჯეტიდან სოციალურად შეჭირვებულისა და ასევე საშუალო ფენისთვის გამოყოფილია 80 000 ლარი, ეს დამოკიდებულია ქრონიკულ დაავადებებზე და დაავადების ხარისხზე. თუმცა, მედიკამენტების 70 ლარიანი ვაუჩერის ასაღებად ბენეფეციარს საკმაოდ რთული პროცედურის გავლა უწევს - ჯერ ბენეფიციარი მიდის ოჯახის ექიმთან, რომელიც უწერს ფორმა ასს, ასევე გამოუწერს რეცეპტს მისი დაავადების მიხედვით, ეს ეხება ქრონიკულად მძიმე ავადმყოფებს, რომლებსაც გამუდმებით სჭირდებათ მედიკამენტების გამოყენება და სახსრები არა აქვს საყიდლად. ექიმის გამოწერილი ფორმა ასით და რეცეპტით ბენეფიციარი მიდის ნებისმიერ აფთიაქში, სადაც 70 ლარის ოდენობის წამლებს გამოუწერენ, შემდეგ ამ 2 დოკუმენტს - ფორმა ასსა და ანგარიშფაქტურას წარადგენს მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტი 1 თვის განმავლობაში ქმნის ადამიანების დასახმარებელ სიას, წარმოადგენს ჯანდაცვის სამსახურში, შემდეგ ჯანდაცვის სამსახური თანხას ურიცხავს აფთიაქს, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება წამლის მიღება. საკითხავი ამ შემთხვევაში ისაა, რამდენად შეძლებს მძიმე ავადმყოფი ამდენი ბიუროკრატიული საბუთების შეგროვებას და ამას რომ თავი დავანებოთ, რამდენი ხანი უნდა ელოდოს წამალს, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია მისთვის.

როდესაც თემის სიღრმისეული გარკვევა დავიწყეთ, ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც დაგვთანხმდებოდა ჩაწერაზე და დეტალურად აგვიხსნიდა, რა სირთულეს უკავშირდებოდა კონკრეტულად მისთვის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროცესი. „ავერსის" აფთიაქში, რომელმაც ჩვენი ყურადღება იქ შეკრებილი ხალხის გამო მიიპყრო, აღმოჩნდა, რომ სწორედ უფასო წამლების მისაღებად იყვნენ მისულები ისინი, თუმცა არც ერთმა მათგანმა არ ისურვა საკუთარი სახელითა და გვარით კომენტარის გაკეთება. ერთადერთი რამ, რაც შეგვიძლია ვთქვათ, არის ის, რომ ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა მათი უკმაყოფილება, რადგანაც ბევრი სიარული დასჭირდათ წამლების მისაღებად. კომენტარისთვის მათი დაყოლიება რომ ვერ შევძელით, აფთიაქის მენეჯერს, აზა პაპავას მივაკითხეთ: „ანგარიშს ვუწევთ იმ მედიკამენტებს,

რომლებიც ფორმა ასშია ჩამოწერილი, ანუ წამლების გაცემის პროცედურას მხოლოდ ანგარიშფაქტურა დაემატა. მე ვიცი ჩემი მოვალეობა, გამოაგზავნეს, დავუწერ ანგარიშს და როგორც კი სია მოვა, ვეძებ უბნის მიხედვით, პირადობის მიხედვით და ვაძლევ კონკრეტულ მედიკამენტს. ოფიციალურად გვაქვს ყველაფერი ჩანიშნული და ვაწერინებთ ხელს ბენეფიციარებს, რომ ნამდვილად მიიღეს დოკუმენტაციით დადგენილი მედიკამენტები, ხელმეორედ რომ არ მოხდეს მოთხოვნა, ან რაიმე პრეტენზია არ გაჩნდეს. ზოგმა ასე გაიგო, რომ მოხუცებს ურიგებენ ავერსში წამლებს, მაგრამ ყველა მოხუცს ხომ ვერ ვუზრუნველყობთ მედიკამენტებით, უბრალოდ გაუგებრობა ხდება, რადგან მათ უნდათ პირდაპირ მოვიდნენ აფთიაქში და ეგრევე დააკავონ ხელში სასურველი წამლები გამოწერის გარეშე, მაგრამ ასე არანაირად არ გამოვა. რეალურად, მედიკამენტების ჩაბაზვა, გაცემა, შემოწმება მოითხოვს გარკვეულ პროცედურებს, გარკვეულ დროს, ყველა მედიკამენტი ზომის, ფორმის, შენახვის პირობების მიხედვით გვაქვს შენახული. მე მივესალმები ამ ანგარიშფაქტურის დამატებას, რადგან ჩემთვის, პირადად, უფრო ადვილია და გარკვეულია სიტუაცია, ვის რა სჭირდება".

აფთიაქის თანამშრომლებისათვის მისასალმებელი ანგარიშფაქტურა მძიმე ავადმყოფისათვის ზოგ შემთხვევაში ურთულესი დამაბრკოლებელი ბარიერია. საინტერესოა, ბენეფიციარებისათვის გართულებული პროცედურები გამარტივებული რატომ ეჩვენება ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენელ ეკატერინე ხახუბიას, რომლის თქმითაც "მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროცესი უფრო გამარტივებულია". სოციალური სამსახურის უფროს მაია მაკალათიას დეტალურად ახსნის შემდეგ გავარკვიეთ რომ ბიუჯეტში გამოყოფილი 80 000 ლარიდან

დასასრული 4- გვ.

რამდენად უსაფრთხოა ბაზარში გაყიდული თევზი?

თამუნა ქითანავა
ფოთი

ზაფხულის მოახლოებასა და ტემპერატურის მატებასთან ერთად მრავალი პრობლემა იჩენს თავს. ერთ-ერთია მაგალითად, ბაზარში მალფუჭებადი პროდუქტების რეალიზების დროს რამდენადაა უსაფრთხოებისა და შენახვის ნორმები დაცული. უპირველესად, ეს ეხება თევზს, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში მტვერში ღია დახლებზე დევს, ყოველგვარი ყინულისა და გადასაფარებლის გარეშე. არაა დაცული ელემენტარული ჰიგიენის ნორმები, ირგვლივ ანტისანიტარია სუფევს, თევზის დახლის გვერდით მდებარეობს საერთო საპირფარეშოც. დავინტერესდით, რამდენად მიზანშეწონილია ეს და მოწმდება თუ არა თევზი ლაბორატორიულად. როგორც გავარკვიეთ, აგრარულ ბაზარში არსებული ლაბორატორია თევზს არ ამოწმებს, რადგან, როგორც გვითხრეს, ეს მათ კომპეტენციაში არ შედის - ტერიტორია, სადაც თევზის რეალიზაცია ხდება, არ მიეკუთვნება აგრარულ ბაზარს. აგრარულ ბაზარში არსებული ლაბორატორია ამოწმებს მხოლოდ მის ტერიტორიაზე არსებულ პროდუქტებს.

მყიდველებიც თევზს მხოლოდ გარეგნული დათვალიერებით, ლაყუჩებისა და თვალების ფერის მიხედვით არჩევენ (ახალ თევზს ღია ფერის ლაყუჩები აქვს, რომელიც სიძველესთან ერთად მუქდება). ყველასათვის ცნობილია, რომ ფოთი თევზით ამარაგებს სრულიად საქართველოს, საკუთარ ქალაქში თევზის ასეთ პირობებში გაყიდვა, მსუბუქად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა. რატომ არ აქცევს ყურადღებას არც ერთი სამსახური ამ ფაქტს, ცოტა არ იყოს გაუგებარია. როგორც თევზით მოვაჭრეებმა გვითხრეს თვეში ერთხელ შემოივლის მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები. თურმე სწორედ, ერთ-ერთი მსგავსი შემოვლისას გაეცნენ ფოთში არსებულ ვითარებას და დასკვნაც დადეს, რომელიც შემდეგ გაეგზავნა საკრებულოსაც, სადაც წერდნენ, რომ თევზის ასეთ პირობებში რეალიზება არაა რეკომენდებული. თუმცა, როგორც ვხედავთ, წლების შემდეგაც პრობლემა უცვლელია და ყინული ადგილიდან არ დაძრულა.

როგორც გავარკვიეთ თევზის ყიდვის მსურველებს არამარტო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ემუქრებათ საფრთხე, არამედ, ისინი თევზის ყიდვისას წონაში მოტყუებულები რჩებიან. ამის გამო მომხმარებლება არერთხელ გამოუთქვამთ პრეტენზიები. ერთ-ერთმა გამყიდველმა მანანა ანგელაშვილმა როგორც გვითხრა, ლაბორატორია თევზს თურმე არ სჭირდება, რადგან წყლიდან ცალობით ამოდის და ის ყოველ დღე იყიდება: "ძველი თევზი ჩვენთან არ რჩება. ოდესმე გაგიგიათ, რომ ფოთში ვინმე თევზით მოიწამლა? ასეთი რამ არ მოხდება, ჩვენთან თევზი დიდი რაოდენობით არ მოდის, ფოთში რომ იყიდება, ამ რაოდენობით არც ერთ ქალაქში არ იყიდება. მთელი დასავლეთ საქართველო ფოთს სტუმრობს. ჩვენ ცოტა რაოდენობით გვრჩება, იმდენი, რამდენიც ყოფნის ფოთელებს,

დასასრული 4- გვ.

საინფორმაციო შეხვედრა დევნილებთან

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

ფოთში, ბიზნეს საინფორმაციო ცენტრისა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ფოთში მცხოვრებ დევნილებთან. შეხვედრა მალთაყვის ტერიტორიაზე არსებულ დევნილთა დასახლებაში, ე. წ. ახალ რაიონში შედგა. შეხვედრაზე დევნილებს გააცნეს ინფორმაცია ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ საქართველოში პარტნიორ ორგანიზაციასთან, ჰუმანიტარულ ცენტრ “აფხაზეთთან” ერთად განხორციელებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი- “დამოკიდებულებიდან თვითკმარობამდე- ინოვაციური და ეფექტური საარსებო წყაროების გადაწყვეტილებები საქართველოსთვის”. როგორც ჩვენთან საუბარში ლტოლვილთა დანიის საბჭოს თბილისის ოფისის თანამშრომელმა და სამინისტროსთან ურთიერთობის კოორდინატორმა ნინო ხოხობაიამ აღნიშნა: “ამ პროექტის ფარგლებში სხვადასხვა სახით დავეხმარეთ მოსახლეობას, დავაფინანსეთ მეწარმეები, რომლებმაც შექმნეს სამუშაო ადგილები და დაასაქმეს დევნილები, თავად დევნილებს გადავეცით თვითუზრუნველოფის გრანტები, რათა მათ წამოეწყოთ მცირე ბიზნესი და ჰქონოდათ საარსებო წყარო და მესამე - ეს გახლავთ შესაძლებლობა, რომელსაც ვთავაზობთ დევნილებს. საინფორმაციო შეხვედრას ვაწყობთ მალთაყვის ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილებისთვის, სადაც მივაწოდებთ ინფორმაციას ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ესაა დასაქმების შესაძლებლობების გამოფენა-ფორუმის მოწყობა, სადაც მოვიწვევთ ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთ კომპანიებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე შესთავაზებენ დასაქმების შესაძლებლობებს ამ დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს. ასევე, ჩვენ მოვიწვევთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, დევნილთა სამინისტროსთან არსებული საარსებო წყაროს უზრუნველყოფის სიპის, პროფესიული განათლების სფეროს წარმომადგენლებს და შედგება დიალოგი, რომ აქ მცხოვრებმა დევნილებმა მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია ფოთში არსებული პროფესიული განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ”.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა როგორც დევნილების, ასევე დამსწრე საზოგადოებისათვისაც. ვრცლად ისაუბრა ბიზნეს- საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა: “შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოკლე ინფორმაციის მიწოდებაა იმ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელსაც ევროკავშირის ფინანსური დახმარებით 2015 წლის მარტიდან დღემდე ახორციელებს ლტოლვილთა დანიის საბჭო ზუგდიდსა და ფოთში. პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობითა და დახმარებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას კონკრეტულად დევნილებისთვის. მცირე და საშუალო საწარმოთა გრანტების პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს 4 000 ევროს ღირებულების დანადგარების შეძენას საწარმოებისთვის, 4 ფოთელი დევნილი უკვე სარგებლობს. ამ დროისთვის პროექტი დასრულების ფაზაშია, რადგან აღჭურვილობის დიდი ნაწილი უკვე გადაეცა აპლიკანტებს. რაც შეეხება ინდივიდუალურ ბიზნესგრანტებს, რომელიც ითვალისწინებს 2 000 ევროს ღირებულების აღჭურვილობათა შეძენას კონკურსში გამარჯვებული პირებისთვის, 161 განაცხადიდან 30 ფოთში განხორციელდა. სიღარიბის დაძლევის გრანტი, რომელიც ითვალისწინებს 500 ევროს ღირებულების აღჭურვილობათა შეძენასა და გადაცემას ზუგდიდსა და ფოთში არსებული ორგანიზებულად დასახლებული დევნილთა ცენტრების ბენეფიციართათვის. შემოსული 204 განაცხადიდან 143 დაკმაყოფილდა, აქედან ფოთში 82 დევნილი დაფინანსდა. აღნიშნული პროექტი დღეისათვის დასრულების ფაზაშია. ლტოლვილთა დანიის საბჭო ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს კიდევ ერთხელ ეწვევა ფოთს ღონისძიებით „დასაქმების შესაძლებლობათა გამოფენა”, სადაც შეხვდებიან ფოთში არსებულ 5 საწარმოს წარმომადგენლებსა და დევნილ მოსახლეობას. შეხვედრის მიზანი იქნება ვაკანსიების გამოცხადება და ამ დასახლებაში მყოფი დევნილების დასაქმება. ამ პროცესში ასევე ჩაერთვება საწარმოები, რომლებიც 2010-2012 წლებში დაფინანსდა ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ. ეს დაახლოებით 15 საწარმოა. ამ პროექტის ფარგლებში ლტოვილთა დანიის საბჭოს თანამშრომლები უზრუნველყოფენ დევნილი მოსახლეობის დახმარებას საინფორმაციო ბარათის შედგენაში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მათი შრომითი საქმიანობისა და განათლების შესახებ, ასევე მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც გადაეცემა ფოთში არსებული მსხვილი საწარმოების ადმინისტრაციას შემდგომი დასაქმების მიზნით. ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრი შეიქმნა 5 ქალაქში: ფოთში, ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და წყალტუბოში. დღესდღეობით, ჩვენი ხელშეწყობით, ფოთში ამოქმედდა 10 სათემო ორგანიზაცია, რომლებიც სასწავლო ცენტრშია შექმნილი, შმო, სასტუმრო აიეტი, ვეზისის ტიპის დასახლება და 6 სათემო ორგანიზაცია შეიქმნა მალთაყვის დევნილთა დასახლებაში. პროექტის ფარგლებში დაახლოებით ასმა ადამიანმა დაწერა საგრანტო განაცხადი 500 ევროიან საგრანტო პროექტზე, შეივსო 2 000 ევროიანი საგრანტო განაცხადები და ველოდებით შედეგებს”.

როგორც შეხვედრაზე გავარკვიეთ პროექტი უკვე დაეხმარა ძალიან ბევრ დევნილს. ჩვენ ერთ-ერთ მათგანს, ქეთევან გუგუშვილს გავესაუბრეთ, რომელსაც ხაჭაპურის საცხობი აქვს გახსნილი და პროექტი ბიზნესის გაუმჯობესებაში დაეხმარა. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში მას 500 ევრო გადაეცა და მეტი განვითარების საშუალებაც მიეცა: “თირკმლის პრობლემა ჰქონდა ჩემს გოგოს და სჭირდებოდა გადანერგვა, ძალიან ცუდი მდგომარეობა გვქონდა. დონორობა მისმა ძმამ გაუწია. მართალია, ჯანმრთელობის პრობლემა ნაწილობრივ მოგვეხსნა, მაგრამ მოგეხსენებათ, რამდენი რამ სჭირდება ასეთ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს. მაქვს ჩემი პატარა საცხობი ქალაქში. ხაჭაპურის გამოცხობას ვახერხებდი, თუმცა არ მქონდა სათანადო გაზქურა, ცომსაზელი აპარატი და ამ პროეტის ფარგლებში გამოყოფილი 500 ევროთი შემიძინეს საჭირო ტექნიკა. გავიარე ტრენინგები. ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ყველას”.

კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სხვა დევნილებიც, რომელთა ბიზნესიც აღნიშნული პროექტით დაფინანსდა.

ბენეფეციარისათვის გართულებული, ჯანდაცვის სამსახურისათვის კი გამარტივებული წამლის ვაუჩერები

დასაწყისი 3-გვ.

60 000 ლარი გამოიყო 70 ლარიანი მედიკამენტების პაკეტისათვის, ხოლო 20 000 ლარი ეს არის ონკოლოგიურად დაავადებული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევიდან არ არიან დაფინანსებული. “მაგალითად ტაბლეტური ქიმია გაიცემა აფთიაქიდან, რომელსაც ვერ ვურიცხავდით თანხას და ასეთი დაახლოებით 10 ბენეფიციარი გვყავდა, ამიტომ შევქმენით პროგრამა სწორედ მათ დასახმარებლად და ძვირადღირებული მედიკამენტების დასაფინანსებლად. პირველად ბენეფიციარი მიდის ოჯახის ექიმთან, რომელიც უწერს ფორმა ასს და რეცეპტს, დაავადების შესაბამისად, მაგრამ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ეს არის ქრონიკულად მძიმე დაავადებები, რომლებსაც გამუდმებით სჭირდებათ მედიკამენტების გამოყენება და ყიდვის საშუალება და სახსრები არ გააჩნიათ. ზუსტად აქედან გამომდინარე, ჩვენ, თვითმმართველობას, გაგვიჩნდა იდეა, რომ შევეხიდოთ ასეთ ადამიანებს. შემდეგ ამ 2 დოკუმენტს, ფორმა ასსა და ანგარიშფაქტურას წარადგენს მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტი 1 თვის განმავლობაში ქმნის ადამიანების დასახმარებელ სიას, წარმოადგენს ჩემთან, ჯანდაცვის კომისიაზე, ჩვენ ვამტკიცებთ და ვურიცხავთ აფთიაქს. იმავე დღესვე მოქალაქე მიდის აფთიაქში და იღებს მისთვის საჭირო მედიკამენტს. ამ ეტაპზე მობილიზება ავერსში ხდება, რადგან როდესაც წინა წლებში წერილობით მივმართეთ სხვა აფთიაქებს, არც ერთმა გამოთქვა სურვილი იმ ეტაპზე ჩვენთან თანამშრომლობაზე, რადგან საბაზრო ღირებულება თამაშობს მედიკამენტებზე და ავერსი წამოვიდა ამ თანხმობაზე, რომ გაეცა 70 ლარის ოდენობით ნებისმიერ მოქალაქეზე, ვინც ჩვენს მიერ იქნებოდა წარდგენილი. თუ იმ მომენტისათვის არ არის აფთიაქში დასახელებული მედიკამენტი, ავერსი თანახმაა, რომ მოიძიოს სააფთიაქო ქსელში და გადასცეს ის მედიკამენტი. რაც შეეხება ონკოლოგიურ დაავადებებს, ავერსი მზადაა, რომ აუცილებლად მოიძიოს საჭირო მედიკამენტი საქართველოს მასშტაბით, მაგრამ არის ასევე სხვა სააფთიაქო ქსელები, მაგალითად: ფარმადეპო, რომლებიც ონკოლოგიური თემის წამლებზე მუშაობენ. ანუ ჩვენ არ ვუქმნით პრობლემას მოქალაქეებს და ისეთივე მეთოდოლოგიით, როგორც სტაციონარის საქმეს ვაკეთებდით კომისიურად, ზუსტად ისე გადავრიცხავთ თანხას წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე” - განგვიმარტა ხახუბიამ.

ბენეფიციარების თქმით კი, ეს არის სამადლოდ, საცოდავად გადმოგდებული დახმარება, რომლის აღება ჯანმრთელობაშერყეული ადამიანებისათვის მძიმეა: „თუ მოვკვდი, შვილო, ამდენი წოწიალით, რად მინდა. თან წამალი ერთი თვის შემდეგ ან მომისწრებს, ან არა. ერთ თავსაც ვერ ვყიდულობ სრულად, მაგრამ არანაირი საშუალება არ მაქვს და იქნებ ეს მაინც ვიხმარო. ესაა სამართალი და დახმარება? ყოველ ჯერზე უარესი ხდება. ჩემი სახელი რათ გინდათ, კიდე ამათი გადაკიდება მაკლია?”- გვითხრა ერთ-ერთმა მოხუცმა და არც “ლამაზ-ლამაზი” სიტყვები დაუშურებია როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.
ყველაფერს წესი და რიგი სჭირდება, ეს გასაგებია ჩვენთვისაც, მაგრამ ბოლოს მარილმოუყრელი მადლივით არ გამოვიდეს ხელისუფლების მცდელობები.

რამდენად უსაფრთხოა ბაზარში გაყიდული თევზი?

დასაწყისი 3-გვ.

მაგრამ თუ მაინც მოხდა ისე, რომ თევზი დარჩა, მაცივრებში ვინახავთ. რაც შეეხება წონას, მომხმარებელი ცოცხალ თევზს ყიდულობს, გასათვალისწინებელია ისეც, რომ მისი გაწმენდის შემდეგ თევზს 350 გრამი აკლდება. ზოგმა შეიძლება მოიტყუოს ცოტა, მაგრამ როცა ადამიანი ელექტრო სასწორით წონის, ვერ მოგატყუებს”. მისივე თქმით, საპირფარეშოს არსებობა პრობლემებს არ ქმნის, ვინაიდან თურმე საპირფარეშოში ჰიგიენის ნორმები უმაღლეს დონემდეა დაცული: “ეს რომ პროდუქციას ხელს უშლიდეს, აქამდე ავჯანყდებოდით, მაგრამ ნამდვილად უბადლო სისუფთავეა საპირფარეშოში”.

თუმცა, საპირფარეშოსა და ეგრეთწოდებული თევზების ბაზრის გვერდიგვერდ ფუნქციონირება, ყველასათვის მისაღები როდია. ინეზა ბერაიას თქმით, ეს არანაირ ნორმებს არ ექვემდებარება: „ვის და რომელ ქალაქში უნახავთ საპირფარეშო და თევზები გვერდიგვერდ. ბევრჯერ მინდოდა მეყიდა, მაგრამ თავი შემიკავებია. ფოთში თევზის სარეალიზაციო ადგილი ვერ გამოინახა? ან პირდაპირ მაგიდებზე აწყვია, კაციშვილი არ ამოწმებს. სიცხეში თევზი ადვილად ფუჭდება, მაგრამ თევზისთვის კი არა ფოთელებისათვის არავის ცალია დღეს ფოთში”.

ასეა თუ ისე, თევზი მალფუჭებადი პროდუქტია და მყიდველები უფრო უსაფრთხოდ იგრძნობდნენ თავს და უფრო ხალისით იყიდიდნენ ამ პროდუქტს შესაფერის დაცულ ადგილზე.

წარმატებული პროექტების პრეზენტაცია – სიურპრიზი ქალაქის პირველი პირისთვის

ნანუკა ქაჯაია
ფოთი

ფოთის "კოლხეთის ეროვნულ პარკში", რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც პროექტის -"კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, მდგრადი საშემოსავლო საქმიანობის მხარდაჭერის მეშვეობით განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავდა ფოთში მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მცირე ბიზნესების ხელშეწყობას, მათ სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, საშემოსავლო საქმიანობის გაღვივებისა და ინტეგრაციში ხელშეწყობას. პროექტში მონაწილეობის მისაღებად 700 დევნილი იყო რეგისტრირებული და მაღალი კონკურენციით გამოვლინდა 15 ბიზნესი. პროექტის ხელშეწყობით შეიქმნა 100-მდე სამუშაო ადგილი. გარდა ამისა, ჩატარდა ტრენინგები და უამრავ ადამიანს გაეწია შესაბამისი დახმარება.

ღონისძიებაზე გამოფენილი გახლდათ პროექტის ფარგლებში ხელშეწყობილი სხვადასხვა მცირე და საშუალო ბიზნესის შედეგების ამსახველი ნიმუშები: მცირე გრანტის მიერ ტექნიკურად განვითარებული საკვები პროდუქტების ლაბორატორიის მიერ შემოწმებული პროდუქტებით დამზადებული საკვები, მრავალფუნქციური სამკერვალო მანქანისა და სხვა პროფესიული დანადგარის მიერ შეკერილი ტანსაცმელი, რომელსაც ქმნის და ამზადებს ინდმეწარმე რუსუდან პერტაია, ასევე მცირე მეწარმის, მურთაზ გაბელაიას საფუნთუშეში წარმოებული ფუნთუშები, მისი ბიზნესიც სწორედ ამ პროექტის დამსახურებით გაფართოვდა და რეალიზაციასაც ახდენს ფოთის ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ინდმეწარმე ბორის ძაძამიას მიერ წარმოდგენილი იყო საკონდიტრო ნაწარმი, რომლის საცხობი დევნილების დასახლებაში მდებარეობს, საცხობი ასევე ადგილზე მიტანის სერვისაც ეწევა.

საპრეზენტაციო ღონისძიებას ესწრებოდნენ რუმინეთის ელჩი საქართველოში დიმიტრი ბედეა, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, ქალაქის მერი ირაკლი კაკულია, ფოთში განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე რეზო წულაია, ასევე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ლიანა დერილოვა და ბიზნესის 15 წარმომადგენელი.

პროექტი შეაჯამა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში ლიანა დერილოვამ. როგორც მან აღნიშნა: "რუმინეთისთვის საქართველო საკვანძო ქვეყანაა ამიერკავკასიაში სხვადასხვა მიმართულებების ფართო სპექტრით, როგორებიცაა საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში. სულ 700 ადამიანი იყო რეგისტრირებული პროექტის ფარგლებში და მაღალი კონკურენციით გამოვლინდა 15 ბიზნესი, რის ხელშეწყობამაც რამდენიმე ათეული სამუშაო ადგილის შექმნა განაპირობა. ჩატარებული ტრენინგებით კი ბევრ ადამიანს დავეხმარეთ. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შედეგებით აღფრთოვანებული ვარ და როცა ჩავალ ბუქარესტში, სიამაყით წარვადგენ ანგარიშს". ლიანა დერილოვამ ასევე ისაუბრა პროექტში გამარჯვებულ თხუთმეტივე ბიზნესსა და მათ ავტორებზე, ბოლოს გულითადი მადლობა გადაუხადა პროექტში მონაწილე თითოეულ ადამიანს.

პროექტის ავტორებსა და ფოთელებს მადლობა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაიამაც გადაუხადა: "ნამდვილად ამაყი ვარ ნანახით. 1 წლის წინ ქალბატონმა ლიანამ რუმინეთის ელჩთან ერთად დაიწყო თანხების მოძიება. რუმინეთის ჰუმანიტარული დახმარების 7% მოდის საქართველოზე. ქალბატონმა ლიანამ მთელი გული ჩადო ამ საქმეში და გამოუვიდა კიდეც". -

დევნილთა საბჭოს თავმჯდომარე რევაზ წულაია ერთ-ერთი მხარდაჭერილი ბიზნესის წარმომადგენელია. მანაც მადლობა გამოთქვა მისი ორგანიზაციისადმი მხარდაჭერისათვის: „გრანტის მიღება ყოველთვის პრობლემას წარმოადგენს ახალშექმნილი ორგანიზაციებისთვის, რადგან მათ თავიდან გამოცდილება არ აქვთ. ჩვენ გვენდო ქალბატონი ლიანა და მისი გუნდი. გადმოგვცა მცირე გრანტი ჩვენი პროექტებისთვის და მოხალისეობით კომპიუტერული ტექნიკით ვეხმარებით დევნილებს, დავიწყეთ მათი საარსებო წყაროთი უზრუნველყოფა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ფოთის წარმომადგენლთან, ნანა წულაიასთან ერთად უფრო გავაფართოვებთ ჩვენს საქმიანობას. კარგად მახსოვს, რომ გასულ წელს 1 ჰექტარი მიწა უპატრონოდ იყო მიტოვებული, ქვეწარმავლებისა და კოღოების ბუდედ ქცეული, 5 000 ლარით აღვადგინეთ ალაყაფის ჭიშკარი, ღობე, შენობა, შევიყვანეთ წიწილები, რომ გავამრავლოთ, დაგეგმილი გვაქვს იქ ხალხის დასაქმება, სასათბურე მეურნეობების მოწყობა, შეიძლება თევზისა და სოკოს მოყვანაც. თუმცა, მიწა ჯერ სახელმწიფოს საკუთრებაშია და თქვენი დახმარების იმედი გვაქვს. ჩვენ კი ჩვენის მხრიდან გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ".

გრანტის ფარგლებში ფოთის ცენტრალური ბაზრის საკვები პროდუქტების ლაბორატორია აღიჭურვა ისეთი დანადგარებით, როგორიცაა ცენტრიფუგა, აერიმეტრი, ლაქტოდენსიმეტრი, სპირტომეტრი, საქარომეტრი, რეფრაქტომეტრი, ხორცის თერმომეტრი ინფრაწითელი სხივით, ნიტრატის ტესტერი, რადიაციული ინდიკატორი და სხვა, რომელთა საშუალებითაც ლაბორატორია ყოველდღიურად ამოწმებს იმ საკვები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხს, რომელიც ცენტრალური ბაზრის ტერიტორიაზე იყიდება.

მცირე ბიზნესის გრანტის ფარგლებში დევნილმა ბორის ძაძამიამ, რომელსაც საკონდიტრო საცხობი ქონდა, ბიზნესი გააფართოვა და დღეს მას ადგილზე მიტანის სერვიზიც აქვს, რაც გაყიდვებისა და შემოსავლის ზრდას უწყობს ხელს.

შეხვედრაზე მყოფი ფოთის მერისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა როგორც ღონისძიება, ისე განხორციელებული პროექტები, დასაქმებული დევნილები და შექმნილი სამუშაოები: „ეს ყველაფერი ჩვენთან ხდება?" გაოცებას ვერ მალავდა ქალაქის პირველი პირი.

რუმინეთის ელჩმა საქართველოში დიმიტრი ბედეამ, პროექტის მონაწილეებსა და მიღწეული შედეგის ავტორებს გულითადი მადლობა გადაუხადა.

ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალიზება ფოთელი ახალგაზრდებისთვისაც მიუღებელია

ნარკოტიკული ნივთიერებები და მისი გამოყენება მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. დანაშაულებრივი სამყაროსთვის იგი შემოსავლის წყაროა, ადამიანთათვის კი სასიკვდილო განაჩენი. წლებია, მას ებრძვიან სამართალდამცავები თუ უბრალო ადამიანები, გინდაც დედები, რომელთაც არ სურთ შვილები ნარკოდამოკიდებულნი იყვნენ და ცხოვრება მოისწრაფონ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ბრძოლას შედეგები არ მოაქვს და ყოველ დღე ამ საშინელი ნივთიერებისგან მთელ მსოფლიოში უამრავი ახალგაზრდა იღუპება, მანამდე კი ჯანმრთელობის პრობლემები ექმნებათ. ნარკოტიკი არალეგალურ ნივთიერებად ითვლება და მისი გამოყენება იკრძალება, თუმცა, არც აკრძალვას მოაქვს დიდი შედეგი, რადგან როგორც გამოიყენებოდა, ისევ ისე გამოიყენება. ეს ყველა ქვეყნისათვის პრობლემაა, განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირე რიცხოვანი ერისთვის, სადაც გენოფონდი ისედაც მცირეა და გამრავლების პრობლემა დგას. ამდენად, სრულიად საზოგადოება უნდა ადგეს ამ მავნე ნივთიერების გამოყენების წინააღმდეგ. ნარკოტიკთან დაკავშირებით ახალგაზრდების მოსაზრებაც საინტერესოა. ამ მიზნით ჩვენ ახალგაზრდები გამოვკითხეთ:

ნინო თოდუა თვლის, რომ ნარკოტიკები აუცილებლად უნდა აიკრძალოს: „ნარკოტიკით მსოფლიოში უამრავი ადამიანი იწამლავს ორგანიზმს. ქვეითდება როგორც ფსიქიკური, ისე ფიზიკური მდგომარეობა. უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ჩვენ, ახალგაზრდები, მოვითხოვთ, რომ საქართველოში ნარკოტიკები აიკრძალოს და ახალგაზრდებს მასთან წვდომის საშუალება არ მიეცეს". თანატოლის აზრს იზიარებს გიორგი ქაქუთიაც: „ნარკოტიკული საშუალებები, რა თქმა უნდა, აიკრძალოს. ამით საზოგადოება უფრო დაცული იქნება, მაგრამ არ უნდა აკრძალონ მოსაწევი საშუალებები". საკმაოდ განსხვავებული აზრი აქვს ნარკოტიკებთან დაკავშირებით ნინო ბუკიას: „ეს თემა ამ ბოლო დროს აქტუალური გახდა. მე, ისევე, როგორც ყველა დანარჩენს, საკუთარი აზრი გამაჩნია. ვფიქრობ, თუ ადამიანი ნარკოტიკს იღებს, ეს მისი ნება-სურვილია და მის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს".

ამ თემაზე აზრი ყოფილ ნარკომანსაც ვთხოვეთ: „აკრძალულია და ის იზიდავთ. ხომ გაგიგონიათ - აკრძალული ხილი გემრიელიაო. თუ მოხდა დეკრიმინალიზაცია, ვფიქრობ, ნაკლები მომხმარებელი იქნება. ავიღოთ პროცენტული მაჩვენებლები ქვეყნებისა, სადაც აკრძალულია და პირიქით - დაშვებულია. თუ არ მოხდა დეკრიმინალიზაცია, ჯარიმების მომატება ან თუნდაც დაკლება, არანაირ შედეგს არ მოიტანს. ყველა თინეიჯერი, როგორც მე მათ ასაკში, ინტერესის გამო უსინჯავს გემოს ნარკოტიკს და მერე ეჩვევიან. ამბობენ, ყოფილი ნარკომანი არ არსებობსო, მაგრამ მე შევძელი ამ მავნე ჩვევის დაძლევა. დღეს სრულფასოვანი, ჯანსაღი ცხოვრების წესით ვცხოვრობ და ოჯახი მყავს. ყველა ახალგაზრდას მოვუწოდებ, არ არის საჭირო

ნარკოტიკის მიღება. სხვა უამრავი სასარგებლო რამ არსებობს ცხოვრებაში".

ყველასთვის ცნობილია, რომ ნარკოტიკი მავნეა ჯანმრთელობისთვის და სასიცოცხლო საფრთხის შემცველია, მაგრამ სამწუხაროდ, მასზე ბევრი ახალგაზრდა თუ უფროსი ადამიანები (ხშირად კი გოგონებიც, რაც მიმაჩნია, რომ ორმაგად სამწუხარო და სავალალოა) არიან დამოკიდებულნი. უამრავი ადამიანი თვლის, რომ ნარკოტიკის ლეგალიზაცია არ უნდა მოხდეს დაისაჯოს ის პირი, რომელიც მას ასაღებს, მაგრამ ვერა და ვერ გადაწყდა რა ქვია მომხმარებელს - დამნაშავე თუ ავადმყოფი.

ასეა თუ ისე, საბოლოოდ ყველანი ერთ აზრზე რჩებიან - ჯანსაღი ცხოვრების წესი უკეთესია და იმედია, ჩვენი ქვეყნის, ქალაქის ახალგაზრდები არ მიეჩვევიან ამ ნივთიერებას და არ გაიბრუებენ ცხოვრებას.

მასალა მოამზადა
ქეთი ჩებანმა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ,,ᲗᲘᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ,, ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ

,,ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ 2016,,

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲑᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲘᲛ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲕᲘᲜᲪ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲘᲐᲜ. ᲠᲩᲔᲣᲚᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ:

mtavaritsamegrelshi@gmail.com

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲠᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲚᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ № 1 ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲗ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲡ ᲗᲔᲐ ᲑᲔᲚᲥᲐᲜᲘᲐᲡ

ᲗᲔᲐ ᲑᲔᲚᲥᲐᲜᲘᲐ: ,,ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲕᲧᲕᲘᲠᲘᲕᲐᲠ,,...

ცხოვრების ძალიან საინტერესო გზა გამოიარა იქამდე მოსასვლელად, სადაც ამჟამად საქმიანობს. პროფესიით ფილოლოგია, მაგრამ დღეს ფოთის აგრარული ბაზრის დირექტორის თანამდებობას მშვენივრად ართმევს თავს. ამ სფეროში მუშაობა მისი მიზანი არ ყოფილა: „უბრალოდ, ძალიან სპონტანურად მოხდა ჩემი ამ სამსახურში დანიშვნა. ჩემი პროფესიით ვმუშაობდი, მაგრამ ანაზღაურების გამო არ იყო საინტერესო ჩემთვის. მართალია, მიყვარს ჩემი საქმე, მაგრამ ცხოვრებამ წინ უკვე სხვა ღირებულებები წამოწია და გადავწყვიტე ამ ორგანიზაციაში მუშაობა”- ამბობს თეა ბელქანია, რომლის ბაზარში მოსვლის დრიოსათვის აქ საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო, რადგან წინა ხელისუფლება აღნიშნულ ობიექტს ართმევდა მეპატრონეებს. საკმაოდ დიდი ბრძოლა და ენერგია დასჭირდა ამ დღემდე რომ მოსულიყო: “თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი პირველი ვიყავი ყველა ორგანიზაციიდან, ვინც წინა ხელისუფლებას წითელი ბარათი აუწია”.

თეა ბელქანია საკმაოდ აქტიური ქალბატონია. თავს არასოდეს აძლევს მოდუნების უფლებას, პირიქით, როგორც ამბობს, წინააღმდეგობის გამოჩენასთან ერთად ენერგია უფრო მოზღვავებული აქვს: „მაშინ უფრო მეტი ინტერესი ჩნდება, საკმაოდ აზარტული ვარ, არ მიყვარს, როცა არაფერს ვაკეთებ, აქტიურად ვარ ჩართული ყველაფერში, ამ ეტაპზეც აქტიურად ვარ, მაგრამ არა პიარისთვის, არამედ ვაკეთებ ჩემთვის და არ ვყვირივარ”.

მიუხედავად იმისა, რომ მისი პროფესია და დღევანდელი სამსახური ძალიან განსხვავებული სფეროები გახლავთ, აქ კომფორტულად გრძნობს თავს, რადგან ურთიერთობა აქვს ხალხთან და საინტერესოა მუშაობა. ამ თანამდებობამდე საკუთარი მცირე ბიზნესი გააჩნდა. ამდენად, ეს სფერო უცხო არ აღმოჩნდა მისთვის: „საფეხურები ეტაპობრივად გამოვიარე. ვიცოდი თითოეული მოვაჭრის გასაჭირი, დღემდე მომყვა ეს, ამიტომ მაქვს ყველასთან კარგი დამოკიდებულება. ცოტა მკაცრი ვარ, მაგრამ ვფიქრობ სამართლიანად მკაცრი. ზოგჯერ აგრესიულიც ვგონივართ, იქიდან გამომდინარე, რომ სამართლიანი ვარ. ზოგს ეს არ მოსწონს, მაგრამ მირჩევნია ვიყო სამართლიანი და ვიღაცისთვის არამოსაწონი, ვიდრე ვიყო არააქტიური, არასამართლიანი და ყველასათვის მოსაწონი. ვინც რაღაცას აკეთებს, ის ყოველთვის ხვდება წინააღმდეგობებს. ყოველთვის ყველაფერი ისე კარგად არ არის, როგორც ჰგონიათ. ვფიქრობ, ყველას რომ მოვწონდე, არ ვიქნები კარგი ხელმძღვანელი”. კრიტიკის არ ეშინია, რადგან ხვდება, რა უნდა გამოასწოროს. როგორც ამბობს, არასოდესაა კმაყოფილი საკუთარი თავით და მიღწეულით, არც ზედმეტი ამბიციები აწუხებს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევს და გამუდმებით სიახლის ძიებაშია. თითოეული დღეს ცხოვრებაში წარმატებულად თვლის, თუ ვინმეს დახმარებას უწევს: „ღმერთმა მომცეს ძალა, რომ ყველას დავეხმარო” - ამბობს თეა ბელქანია.

როგორც გვეუბნება, ქალაქის ცხოვრებაში, განხორციელებულ საქმეებში მისი ორგანიზაციის წვლილიცაა და ყველაფერში მონაწილეობენ. ფილოლოგობიდან ბიზნესში გადმობარგებულმა აქტიურმა ქალბატონმა პოლიტიკაშიც სცადა ბედი. მართალია, ოპონენტებს ვერ აჯობა, მაგრამ არ ნანობს მცდელობას, რადგან თვლის, რომ ამით მთელმა ქალაქმა გაიცნო: „ჩემთვის ეს გამარჯვებაზე უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ იქ არა ვარ. ამ პოზიციაზეც თავს კარგად ვგრძნობ”.

სამომავლოდაც დასახული აქვს გეგმები და მათ განხორციელებას აპირებს. ახალგაზრდაა, ენერგიული და არ გამორიცხავს, რომ სხვა სფეროში წარმატების მიღწევის სურვილი გაუჩნდეს: „იმიტომ, რომ აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობ და დასახულ მიზანს აუცილებლად ვაღწევ. ვერ ვიტყვი, რომ რაღაცას მივაღწიე. მიღწევად უფრო ჩავთვლიდი, ჩემი პროფესიით მემუშავა და აქ ვყოფილიყავი წარმატებული, მაგრამ მოხდა ისე, რომ გადავუხვიე ჩემს პროფესიას და შემდეგ ამ საქმემ ისე ჩამითრია, რომ მიჭირს გადავერთო და დავუბრუნდე ჩემს პროფესიას, მაგრამ აუცილებლად დავუბრუნდები, ამაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ, ვიმედოვნებ, რომ ამ მხრივაც მივაღწევ წარმატებას. ვერ ვიტყვი ახლა, რომ რაღაცით უკმაყოფილო ან რაღაცით კმაყოფილი ვარ, მუდმივად მიჩნდება უკმაყოფილების გრძნობა, უფრო მეტს ვითხოვ საკუთარი თავისგან. იმედია, გამომივა კიდეც”.

◇◇◇

ძვირფასო მკითხველებო
გაზეთი „მთავარი თემა
სამეგრელოში”
იწყებს ლექსების ბეჭდვას. ნებისმიერ თქვენთაგანს
შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ლექსები
რედაქციაში

• • • •

ხორცის სუნი მაქვს და ცოდვებს ვურევ
მე დღეს საკუთარ თავსაც ვერ ვიტან
ძალით წაქცეულ ცოდვების ურემს
გაყურებინებ დაბადებიდან.

უფალო ჩემო ცრემლებს ვიპარავ
და უსარკოდაც ჩემი მრცხვენია,
ისიც არვიცი თავად ვინავარ
და ეს რითმებიც შემირცხვენია

და უსასრულოდ ხეებს წყობაზე
ვუყურებ გვანან ერთგულ მახვილებს
და ჩემს გათიშულ ნებისყოფაზე
ერთხელ იქნება გავამახვილებ

ყურადღებას და ყველაფერს ვიტყვი
რომ გვიძინია და გვეძინება
და რომ ვიწყვიტავთ ღილივით ტვირთებს
სხვისი ტვირთების დასამძიმებლად.

მოწმენდილი ცა მხედავს პირღიას
ვის დაკარგვია, სხეულს მიმცირებს
ბედმა არასდროს არ გამიღიმა,
ბედზე ვერასდროს ვერ გავიცინე

გამოკიდება კაცის სიტყვებზე
რომელიც ამბობს, მშვიდად ნუ ღელავ,
იგივეა რაც წვეთებს იჭერდე
როცა იწვიმებს გადაუღებლად

გადავიღალე ხშირად ვყრუვდები
ან თავს ვუყრუებ დამპალ კაცის ხმას
და ჟანგიანი გადავბრუნდები
მეორე კარში, ერთი კარიდან

ვერც ხედი ვნახე ფერადი ხედი
გული და სული რომ დავამშვიდო
და დავემსგავსე უთავო მხედრის
თვალები ცრემლიან პანაშვიდებს.

და სარკოფაგებს დროს რომ წელავენ
სითბოს არ უღირთ რადგან ტარება
და დავამარცხე ათასწლოვანი
სიტყვის ლოდივით დასამარება.

ნუთუ ხასიათს, წამხდარ ღიმილებს
ვერ გამისწორებს რგოლი წყვილებად
მე მომატყუეს, და ეს მივიღე
საშემოდგომო გამოცდილებად

ნუ დაუჯერებ თუ არ გიჯერებს
ნუ მიენდობით თუ არ გენდობა
ჯობია წევით ტვინი იჯერო
ბედნიერებად აღქმულ შეცდომას.

ვის უფიქრია სად ყვავილდება
ჭეშმარიტება, რომელ ყვავილში
იქნებ ფილტვების გადაყვითლება
ბევრად ნაკლებად არის საშიში

ვიდრე გწამდეს და ისიც ჰაერზე
როგორ აღვიქვათ წმინდა აღდგომა
რომ ხელის ლურსმნით ნაიარევზე
მარტივი იყო ბევრად განდგომა

ყველაფრისგან და რომ აღსდგა ქრისტე
უნდა გადავწვათ, ეშმა ტვირთები
ეს ორი სიტყვა ფრაზაა მძიმე
და გზა ნათელი ჭეშმარიტების.

გვიჩვენებს დროსაც ერთხელ მოცლია
რომ სულმაც ჭამოს მარხვის ბგერები,
ვიდრე ყროლიან მთელმა მსოფლიომ
მიირთვას ლორის ჰამბურგერები

როდესაც ხეებს შიშიაქვთ ზამთრის
სადაც მათხოვარს ცრემლები სცვივა
იქ, იმ ადგილზე ამოდის ვარდი
რომელსაც ფეხებს ვერ მოჭამს წვიმა.

და ეს ამინდიც გაიმზეურებს
როგორც ხდება და გვისკდება ტერფი.
ღმერთის არ სჯერათ გაჭირვებულებს
რადგან თავადვე არიან ღმერთი.

საბა თორია

• • • •

აღდგომის ღამეს
აღსდექი სულო! ახლოა ზეცა,
ეს ცხოვრება კი ზღვაშია წვეთი,
დრო რაც კი გადის მე მიხმობს ეს ცა
და დამჭირდება სიკეთე მეტი. . .

ვისთვის ბოდვაა ვედრება ლექსით,
ვიღაც იცინის მალულად გულში,
უფრო ცოტაა ვისაც ეს ესმის,
ვიღაცას მეტად სჯეროდა გუშინ.

თუ არა ლოცვა და არა რწმენა,
ძნელია, იგრძნო ღვთის ყოფნა ახლოს
და მეტ-ნაკლებად განიცდის ყველა,
რომ ნეტარია ვის სულშიც სახლობს.

თუ ბოროტებამ იმარჯვა იმ დღეს,
შიშით და რძწოლით შ ნ გიხმობ სულო,
წამებას უფალ იესო ქრისტეს,
აღდგომის ღამეს გაუძელ გულო.

ნანუკა ქაჯაია

• • • •

წერა მეზარება, ვამბობ დიდის ამბით,
თითქოს ასაზრდოებს ვინმეს ჩემი ჯღაბნა,
ისე შემეცვალა ღამე, განთიადით
სუნთქვა შემეკრა და ენა ჩამივარდა.

წერა მეზარება ანდა რა აზრიაქვს,
პირშიც მიმიხლია მაგრამ არ იფიქრეთ
ყველას თქვენი წილი ღმერთი გაბარიათ,
ჰოდა გაუფრთხილდით, რათა გაგიფრ-
ხილდნენ.

წერა მეზარება, დამსვით უდარდელად
იმას მასმენინეთ რასაც პოეტები
ბოდვას ეძახიან და მე ურუენტელმა
ისევ დამიარა მთელი მომეტებით.

წერა აღარ მინდა ისე გავთავხედდი,
ჩემი უმეცრება სხვებსაც დაუწყია,
მე რომ ვპოეტობდე ფურცელს დავახევდი
ყველა ჩემნაირს და ხმასაც ჩავუწყვიტავ.

მე რომ ვპოეტობდე, აზრსაც შევიცვლიდი
გულით მოვუსმენდი ყველა გულამღვრეულს
ისე ახლოსაა გრძნობის დეფიციტი
ისე ცოტას ნახავ გრძნობით გადარეულს.

ყველამ უნდა წეროს თუკი გებულობენ,
თუკი სხვა გზა არ აქვთ, სულის სამმართველოდ
წერით აკაკუნეთ გულზე თუ რაოდენ
გიყვართ სიყვარული ანდა საქართველო.

სხვისი ადვილია რჩევა-დარიგება
წერის მე დავკარგე მადა ჩემებურად
წერეთ მანამ სანამ სხვა გზა არიქნება
სანამ სულიერი გადაშენებულა.

• • • •

ვიღაც უთვისტომო რომ ვიყო არსება,
ბოდიშის მოხდით მე თვისტომს ვინატრებდი.
ანდა თუ მუსიკის ჰანგები დამსდევდა
ეღარუნს ვინატრებდი სადღაც გიტარების.

უცნობ სურვილებში დილა თუ გათენდა
ჩათვალეთ მე ისევ წუხელში ვიმალები.
დილით თუ ვსუნთქავ და ჰაერი დამჩემდა
რგოლებს ვინატრებდი კვამლში სიგარეტის..

რომ ვიყო ლოთი და ჩვეული დალევას
სხეულს ვინატრებდი, სუფთას იმ გაგებით
რომ შევძლო გაწმენდილ გულში ჩახედვა
იქნებ და გავიგო არსი ვითარების

სადაც ფიქრებში ენა დამება
და გულიც შენით მიცემს გამალებით.
როცა არ გიცნობდი მჯეროდა ამდენხანს
რომ ყველა გრძნობა ითვლება სიყალბეში.
მე შენი ნახვა მომინდა ამჯერად
ანუ მე ისევ შენს ნახვას ვინატრებდი.

საბა თორია

სპორტი

ჭადრაკში ანი ჭანტურიამ საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა

ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

გასულ კვირას ჩოხატაურში თავისუფალ ჭიდაობაში 2000-2002 წწ და 2003-2005 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველ და ებრაელ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა. ტურნირზე მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების, რაიონებისა და აზერბაიჯანის სპორტსმენებიც. სულ 20 გუნდის 200-მდე მონაწილე. მათ შორის ფოთის გუნდი მონაწილეობას ღებულობდა 7 სპორტსმენით.

ტურნირზე მიღებული შედეგები ასეთია: 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილები ლაზარე გადელიამ და 26 კილოგრამ წონით კატეგორიაში მალხაზ ხელაიამ დაიკავეს, მეორე ადგილებზე 26 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბესო შენგელია და 42 კილოგრამ წონით კატეგორიაში საბა გადელია გავიდნენ, მესამე ადგილის მფლობელი 32 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზვიადი ჯალაღონია გახდა.

რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადა ხელბურთში

რამდენიმე დღის წინ, ზუგდიდის სპორტის სასახლეში გაიმართა რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ხელბურთში ვაჟთა და გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ზუგდიდის რაიონის, სენაკისა და ფოთის 2 საჯარო სკოლების მოსწავლეთა გუნდები.

ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით იასპარეზეს როგორც ვაჟთა, აგრეთვე გოგონათა შორის და მოიპოვეს გამარჯვება ზუგდიდისა და სენაკის გუნდებთან და გახდნენ რეგიონალური პირველობის გამარჯვებულები. მათ მოიპოვეს ფინალური ეტაპის საგზური, რომელიც გაიმართება თბილისში.

ეს საინტერესოა

ფოტოკონკურსი ბავშვებისთვის

,,კოლხეთის ვარსკლავი 2016,,

გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში აცხადებს კონკურსს 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სახელწოდებით

,,კოლხეთის ვარსკვლავი 2016,,

თუ გყავთ შვილი ან გიყვართ მნიშვნელოვანი მომენტების დაფიქსირება, მაშინ ეს კონკურსი თქვენთვისაა. გადაუღეთ თქვენს პატარას ორიგინალური ან სახალისო ფოტო (აუცილებელია, ფოტო იყოს კარგი ხარისხის), დაასათაურეთ, მიუთითეთ ბავშვის სახელი, გვარი და ასაკი, თქვენი მობილურის ნომერი, შემდეგ კი გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე: mtavaritsamegrelshi@gmail.com. **გამარჯვებული გამოვლინდება** www. msnews.ge **ზე** like-**ების მეშვეობით. კონკურსის მეორე ტურში გადავლენ ის მონაწილეები, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.. ფოტოები გამოგვიგზავნეთ 15 მაისის ჩათვლით.**

როგორები არიან ზოდიაქოს ნიშნები სამეგობროში

ნებისმიერი ჩვენგანი საკუთარ,"განუმეორებელ" ადგილს ფლობს სამეგობრო წრეში. ასტროლოგიურად კი არსებობს საინტერესო სტატიტიკა, თუ როგორია ადამიანი სამეგობროში და რა სახის გავლენას ფლობს იგი საკუთარ მეგობრებზე...

ვერძი - ლიდერია მეგობრებში, ყველა სიახლის წამომწყები.

კურო - მთავარი დასაყრდენი და "კულინარია".

ტყუპი - ყველას გამრთობი და დაუზარელი კომპანიონი.

კირჩხიბი - სამეგობროს მზრუნველი "დედა" ან "მამაა". როგორც წესი, ყველას სახლის გასაღები მას აქვს ხოლმე.

ლომი - სამეგობროს "სავიზიტო ბარათია", მისით ამაყობენ.

ქალწული - მეგობრების "გაჭირვების ტალკვესია". თუკი ვინმე ავად გახდა, მას მიმართავენ რჩევისთვის.

სასწორი - საუკეთესო თანამოსაუბრეა ყველასთვის. მასთან ერთად ნებისმიერ თემაზე შეიძლება მსჯელობა.

მორიელი - ყველაზე ერთგული და საიმედოა მეგობრებისთვის. ყველაზე რთულ სიტუაციაში მიმართავენ მხოლოდ მას.

მშვილდოსანი - სამეგობროს სული და გულია. მის გარეშე არც ერთი თავშეყრა არ შედგება.

თხის რქა - მთავარი დამრტყმელი ძალაა. ერთგულია უსასრულობამდე.

მერწყული - ყველაზე ორიგინალური და კრეატიულია სამეგობროში. მასთან ერთად ყველგან შეიძლება წასვლა და ნებისმიერი საქმის წამოწყება.

თევზები - ყველას მესაიდუმლე და მრჩეველია. მხოლოდ მასთან შეუძლიათ მეგობრებს გულის გადაშლა და მოოხება.

იყიდება

ფოთში იყიდება დავით აღმაშენებლის №30 საოფისე ფართი 75 კვმ. ტელ: 592 963 311

ფოთში იყიდება ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ჯიქიას №9, 3-ე სართულზე, მოშენების პერსპექტივით. ტელ: 568 42 14 57 ჯემალი, 579 70 65 34 ანა

ფოთში იყიდება 60 კვადრატი ფართი, რომელიც როგორც საცხოვრებლად ისე საოფისედაც გამოდგება. წმინდა ნინოს 32. ტელ: 593 36 03 93

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაგეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაგეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.